



# საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000066451353018

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46  
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 15

07 / მაისი / 2018 წ.

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჩოლოყაშვილის ქუჩა N50-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე, 168.1კვ.მ ფართის საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის, მე-4 და მე-6 პუნქტის, საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე, 55-ე მუხლების შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

### გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, განახორციელოს პირდაპირი განკარგვის წესით, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჩოლოყაშვილის ქუჩა N50-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე 168.1კვ.მ ფართის საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის არსებობის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა. საკადასტრო კოდი 50.04.42.017.
2. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ახმეტის მაგისტრატ სასამართლოში ( ქ.ახმეტა, ი.ჭავჭავაძის ქ.N101)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარე

07

თამარ ყვინიშვილი